ბორჯომი

1 დეკემბერი
ხუთშაბათი
2022 წელი
№49 (9259)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

2022 წლის 25 ნოემბერს გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი.

დეპუტატებმა მოისმინეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 9 (ცხრა) თვის შესრულების ანგარიში და ერთხნად დაამტკიცეს. ამასთან დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბორჯომში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 150კვმ მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წინადადებას.

დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი საპროექტო წინადადებები.

დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2023 წლის სამოქმედო გეგმა.

ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში წვრილფეხა ან მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის (ყოფნის) წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2022 წლის 23 სექტემბრის №85 დადგენილებაში.

მოისმინეს ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელის მიხეილ ხუციშვილის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

დეპუტატებმა მოისმინეს ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2022 წელს განხორციელებული პროექტების შესახებ.

იმსჯელეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტის (ქუჩის) სახელდების მოწონების შესახებ.

ახალი კლინიკა „მედიქალ ბორჯომი“

ბორჯომის მოსახლეობას უსაზღვროდ გაუხარდება ის სასიკეთო ფაქტი, რომ უკვე, ერთი კვირაა, რაც ქალაქის ცენტრში გაიხსნა ახალი სამედიცინო კლინიკა **„მედიქალ ბორჯომი“**. კლინიკის დამფუძნებელი წარმოშობით ბორჯომელი, პროფესიით ექიმი ქალბატონი სოფიო ციციშვილია, რომელიც წლებია კარგად იცნობს სამედიცინო სფეროს და საკმაოდ კარგი გამოცდილებაც გააჩნია. სასიხარულოა, როცა ქალაქში ჩნდება ალტერნატიული სივრცე - რუსთაველის ქუჩა №147-ში, სადაც შეუძლია პაციენტს გადაიმოწმოს ჯანმრთელობა, მიიღოს პირველადი მომსახურება და სხვა სახის ამბულატორიული კვლევები. როგორც გვეუბნებიან კლინიკის მესვეურები, ხელმისაწვდომი იქნება ექიმებთან ვიზიტისა და სხვა მომსახურების საფასური. ყოველ შემთხვევაში, როცა პაციენტი იძულებულია თბილისში წავიდეს და გზის ხარჯებს დამატებული ექიმთან მისვლის გადასახადიც უზრუნველყოს საკუთარი ძვირფასი ჯანმრთელობისთვის, ახლა ადგილზევე მოუწევს ყველა საჭირო გამოკვლევა და კომპეტენტური ექიმების რჩევების მიღება.

სოფიო ციციშვილი, **კლინიკის დამფუძნებელი**: *იდეა გაჩნდა იქიდან, რომ ნათესავს დასჭირდა პირველადი ჯანდაცვის სერვისი, დავდექით საკმაოდ დიდი პრობლემის წინაშე, ამიტომ არაერთხელ დავრწმუნდი, რომ ჩემ საყვარელ ბორჯომს ამ მხრივ სჭირდებოდა რაიმე ახალი სივრცე, სადაც პაციენტს მაღალი დონის მომსახურება დახვდება, სადაც ერთ სივრცეში იქნება ოჯახის ექიმი, პედიატრი, ნევროლოგი, კარდიოლოგი, ოფთალმოლოგი, ენდოკრინოლოგი, ოტორინოლარინგოლოგი. სისრულეში მოვიყვანეთ ეს იდეა. თბილისიდან მოწვეული ექიმი-სპეციალიტები წამყვან კლინიკებში მიღებული გამოცდილებით როგორც პირისპირ, ისე ონლაინ კონსულტაციებით იქნებიან პაციენტების მომსახურების პროცესში. როგორც სამუშაო დღეებში, ისე შაბათ-კვირას შესაძლებელია ჩვენთან წინასწარი ჩაწერა. ჩვენთან ჩაწერილ ყველა პაციენტს მიუვა ესემესი. კლინიკა აღჭურვილია უახლესი თაობის აპარატურით, რაც საშუალებას იძლევა პროფესიონალურად ჩატარდეს ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა, თვალის სრული დიაგნოსტირება, ელექტროკარდიოგრაფია (ეკგ), კარდიოგრამის ოცდაოთხსაათიანი ჰოლტერის მონიტორინგი და ლაბორატორიული კვლევები. კლინიკა ათი საათიდან საღამოს 6 საათამდე მუშაობს, ტარიფები ხელმისაწვდომია.*

კლინიკის გახსნაზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** მოადგილეები - **გიორგი ფერაძე** და **ნიკოლოზ კიკნაძე**, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე **სალომე თედელური**, ბაკურიანის განვითარების დირექტორი **ეკა ორჯონიკიძე** და საკრებულოს დეპუტატები იმყოფებოდნენ.

მონიკა ჭანტურია

რეგიონებში გარევაჭრობის წესები იცვლება

რეგიონებში გარევაჭრობის წესები იცვლება. ამას ითვალისწინებს კანონპროექტი, რომლის ავტორიც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროა, ინიციატორი კი საქართველოს მთავრობა.



როგორც კანონპროექტშია ნათქვამი, ცვლილებების თანახმად ჯარიმა დგინდება შესაბამისი ნებართვის გარეშე გარევაჭრობისათვის და მუნიციპალიტეტებშიც დედაქალაქის მსგავსი რეგულაციები იმოქმედებს, ამასთან გარევაჭრობას პოლიციის ნაცვლად ადგილობრივი მუნიციპალიტეტი გააკონტროლებს.

„არსებული რეგულაცია რჩება უცვლელი, თუმცა კანონპროექტის თანახმად, ნორმას ემატება სანქციები ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედების განმეორებით ჩადენისთვის, ასევე აღნიშნული ქმედების სატრანსპორტო საშუალების, მასზე მისაბმელის ან ნებისმიერი სხვა მოძრავი საშუალების გამოყენებით ჩადენისთვის. ეს უკანასკნელი ქმედება, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი ორგანოს ან უფლებამოსილი პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ითვალისწინებს შესაბამის სანქციას. ასევე, მუხლს ემატება შენიშვნა, რომლითაც განიმარტება დაუმორჩილებლობა ამ ნორმის მიზნებისთვის.

მასთან დგინდება, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების არსებობისას, სამართალდამრღვევის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში, სამართალდარღვევის საგანი კონფისკაციას ექვემდებარება, ხოლო სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დადგენის უფლებამოსილება ენიჭება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტებში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) შესაბამისი ნებართვის გარეშე გარე ვაჭრობის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური, ხოლო ცვლილების შედეგად - მუნიციპალიტეტები“, - ნათქვამია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

ბაკურიანი 2025 ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მოწვევით ბაკურიანში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომისა და სათხილამურო ორჭიდის მსოფლიო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი, ამჟამად პრეზიდენტის მრჩეველი და ექსპერტი ავსტრიელი **ვალტერ ჰოფერი**, გერმანელი ექსპერტი **ჰანსმარტინ რენი**. მათ თან ახლდა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი **მამუკა ხაბარელი**, სეოკის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი **რუსუდან აფციაური**. სტუმრები სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარე **ეკატერინე ორჯონიკიძესთან** ერთად ჯერ ბაკურიანის ტრამპლინებს ეწვივნენ და ერთხელ კიდევ შეავლეს თვალი მის მთლიან არეალს, შემდეგ კი, სააგენტოს შენობაში გადაინაცვლეს, სადაც სავარაუდო მონახაზი გააკეთეს ბაკურიანის ტრამპლინების მთლიანი შემოგარენის და თითქმის დეტალურად ისაუბრეს, თუ როგორი უნდა იყოს საბოლოოდ 2025 წლისთვის დაგეგმილი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში ბაკურიანის ტრამპლინები, ანუ ეს შესანიშნავი პროექტი.

სულ მალე ბაკურიანის ტრამპლინებს ახალი სიცოცხლე ექნებათ

ვალტერ ჰოფერი: - *უკვე მესამედ ვიმყოფები საქართველოში. პირველი, როცა ბაკურიანელ ლეგენდას* **კობა წაქაძეს** *80 წელი შეუსრულდა, საქართველოს სათხილამურო ფედერაციის მიერ პირადი მოწვევით პატივისცემის ნიშნად გახლდით ჩამოსული და რა თქმა უნდა, დავათვალიერე ტრამპლინები. შემდეგი იყო საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მიერ საქართველოს პროექტის -„ყველა ნაგებობა 1500 მეტრ სიმაღლე ზე“ ფარგლებში. და აი, დღეს კვლავ სეოკის მოწვევით გახლავართ. ამჯერად, განვიხილავთ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის პროექტის ფარგლებში ტრამპლინების მშენებლობის სავარაუდო დეტალებს - ანუ ტრამპლინების არეალის ახალ სიცოცხლეს.*

ბაკურიანსა და მის ტრამპლინებს საკმაოდ დიდი სპორტული ისტორია აქვს. მაგრამ მას ასევე შესანიშნავი შესაძლებლობები აქვს ამ პროექტის სახით, როგორც სპორტის ამ სახეობის განვითარებისა, ასევე სხვადასხვა ტურნირებისა და სხვადასხვა დონის საშეჯიბრო განვითარების კუთხით.

პროექტი 2025 წლის ფესტივალის ფარგლებში, ეს მარტო ფესტივალი არ არის, როგორც ცალკეული ღონისძიება მნიშვნელოვანია, მაგრამ, როცა ასეთ დიდ პროექტს აკეთებენ, მნიშვნელოვანი დანიშნულებაც უნდა ჰქონდეს. იმედია, ასე იქნება. გამოიყოფა ერთჯერადი დაფინანსება და როცა ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ჩატარდება (2025წ.) ეს იქნება ქვეყნის მომავლის სამემკვიდრო პროექტი, რომელიც დიდ ადგილს თვით თქვენს ლამაზ ბაკურიანში დაიმკვიდრებს.

ჩვენ, საკონსულტაციო თვალსაზრისით ვართ ჩამოსულები, როგორც მხტომელები და მისი სპეციალისტი ექსპერტები.

მამუკა ხაბარელი, სეოკის ვიცე- პრეზიდენტი: - *ჩვენ სულ მალე დავიწყებთ და დავუკავდირდებით შესაბამის სამსახურებს, რათა დროულად ჩატარდეს ტრამპლინების არეალის ფარგლებში ტოპოგრაფიის, გეოლოგია-გეოდეზიის და სხვა სამუშაოები. დასკვნებს მივაწვდით და დავუდებთ ბიუჯეტთან ერთად ჩვენს უცხოელ მეგობრებს.*

მთავარია დავიწყოთ, ჩვენ მოვამზადებთ ყველა იმ დეტალს, **რაც მშენებლობის დაწყებისთვისაა საჭირო.**

ბატონ **ვალტერ ჰოფერის** თქმით, როცა ყველა საჭირო პროექტი და მოსამზადებელი სამუშაოები იქნება მზად, ტრამპლინების პროექტს ერთ წელინადში ექნება ხორცშესხმა, ანუ ერთ წელინადში შესრულდება ყველა სამუშაო და სამომავლოდ, ყოველი კუთხით გათვლილი საავიზიტო ბარათი ტრამპლინებისა გექნებათ.

ბაკურიანის ტრამპლინებმა 9-ჯერ უმასპინძლა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებს, პირველად 1971 წლის იანვარში, ბოლოს კი, 1985 წლის იანვარში. ძველი ტრამპლინები ყოველთვის ემახსოვრებათ ბაკურიანელებს და ის სპორტული გზის ისტორიაც, რაც ამ ტრამპლინებთანაა დაკავშირებული.

ეკატერინე ორჯონიკიძე, სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარე, საქართველოს სათხილამურო სპორტის ვიცე-პრეზიდენტი: - ***ჩვენი სააგენტო აქტიურადაა ჩართული ყველა იმ პროექტში, რასაც ბაკურიანის მომავალი და მისი განვითარება ჰქვია. ჩვენ ვმუშაობთ ყველა კუთხით, განსაკუთრებით კი იმ დიდი ღონისძიებების ფარგლებში, რომელიც 2023 და 2025 წლებში უნდა ჩატარდეს. მოხარული ვარ, რომ მზადდება ტრაპლინების პროექტი, რაც ბევრის ოცნება იყო. ახალი, თანამედროვე ევროპული სტანდარტების ტრამლინების აგებით, მისი არსებობით ხელი შეეწყობა მომავალი თაობების აღზრდას ამ ელიტარული სპორტის სახეობის განვითარებაში.“***

ეკა ორჯონიკიძის თქმით, სააგენტო ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად აქტიურად ჩაერთვება დღევანდელი ტრამპლინების არეალში მოქცეული იმ მიწების ადგილების გამოთავისუფლების საკითხში, რაც ჩვენი ტრამპლინების მშენებლობისთვისაა საჭირო.

სოფიკო ხეთაგაშვილი

გახსნა „თიბისი“ ბანკის ფილიალის ახალი ოფისი

თიბისი ბანკის ბორჯომის ფილიალმა, მეორე კვირაა ბინა ახალ შენობაში დაიდო. ძველმა ფილიალმა სილამაზის ხიდის მიმდებარედ ე.წ. ორსართულიანი მაღაზიის შენობაში 21 წელი იმუშავა. როგორც თიბისი ბანკის ბორჯომის ფილიალის დირექტრომა ბატონმა **ირაკლი ცირდავამ** გაზეთ **„ბორჯომთან“** საუბარში აღნიშნა, ფილიალის შეცვლის აუცილებლობა დღის წესრიგში გარკვეული მიზეზების გამო დადგა. მიზეზებს შორის კი როგორც მომუშავე პერსონალის, ასევე მომხმარებლებისათვის მოუხერხებელი ადილმდებარეობა და პარკინგის არ ქონა გახლდათ. ასევე რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი გახლდათ ბანკის ხელმძღვანელობისთვის იყო ის, რომ მოუხედავად პირველ სართულზე არსებული სალაროსი, ისინი შშმ პირებს შესაბამის მომსახურებას ვერ უწევდნენ, რადგანაც ძველ ფილიალში არ გახლდათ ლიფტი, რომელიც მათ გადაადგილებას უზრუნველყოფდა. ამიტომაც მიიღეს გადაწყვეტილება, რომ თანამშრომელთა და მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინებით ბანკის ფილიალი ყველა მომხმარებლისათვის სასურველ და რაც მთავარია, ხელსაყრელ ადგილზე განთავსებულიყო და უკვე რამდენიმე დღეა, რაც ფილიალმა მუშაობა ყოფილი ძველი ადამინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განაახლა. ამჟამად ფილიალში სულ ორმოცამდე ადგილობრივი თანამშრომელია დასაქმებული. თუმცა, როგორც დირექტორმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა კადრების მოძიების პროცესი ახლაც მიმდინარეობს. (აქვთ ბანკირის, საკრედიტო ექსპერტისა და სტაჟირებაზე საკრედიტო მიმართულების ვაკანსიები).

ესაუბრა ნატო მელიქიძე

გამთრის საპურობო სეზონისა და მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადების პროცესი აქტიურ ფაზაშია

რამდენიმე დღეც და ბაკურიანში ზამთრის საკურორტო სეზონი დაიწყება. ორიოდე თვეში კი ბაკურიანი თავისუფალი სტილით სრიალში თხილამურებითა და სნოუბორდით მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს.

დადგა ნანატრი ოცნებების ასრულების პერიოდი... ბაკურიანი თანდათან იძენს ახალ იერსახეს, განვითარება იწყება და ის იმ ფაზაშია, რომელიც ასე სწრაფად არასოდეს არ ყოფილა. მაღალი დონის საშეჯიბრო არეალები ფართოვდება. საქართველოს მთავრობა ამისათვის დიდ ნაბიჯებს დგამს. სწორედ ამ დანიშნულებით არის შექმნილი სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტო", რომელიც დაუღალავად შრომობს ყველა მიმართულებით.

2022 წლის 16 ნოემბერს, სასტუმრო „კრისტალის" საკონფერენციო დარბაზში, სსიპ ,,ბაკურიანის განვითარების სააგენტოს"" ორგანიზებითა და სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის მხარდაჭერით, უწყებათაშორისი მორიგი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე სამცხე-ჯავახეთის ადინისტრაციის ხელმძღვანელობასთან ერთად იმყოფებოდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის (მერია, საკრებულო), რეგიონის იმ უწყებების, ადგილობრივი ხელისუფლების, კერძო ბიზნესის და რა თქმა უნდა, სააგენტოს სამსახურების პირველი პირები, რომლებიც თავიანთ საქმიანობით უშუალოდ არიან ჩართულნი ბაკურიანში დაგეგმილ პროექტებთან, ინფრასტუქტურულ სამუშაოებთან, და რაც მთავარია, ქვეყნის იმიჯისათვის, მსოფლიო ჩემპიონატის მაღალ და უსაფრთხო დონეზე ჩატარებისათვის მომსახურეობის.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებული **ბესიკ ამირანაშვილი** მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, გააცნო შეხვედრის მიზანი-მზადება საკურორტო სეზონისა და მსოფლიო ჩემპიონატისათვის. ყველა სტრუქტურის წარმომადგენლისაგან მოსმენილ იქნა მზაობა განხორციელებული და ჯერ კიდევ სამუშაო ფაზაში მყოფი პროექტების შესახებ. დაისვა კითხვაც ხომ არ იქნება მოსალოდნელი რაიმე შემაფერხებელი გარემოება ჩემპიონატის პერიოდში.

მთის ტრასების სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილემ, **თამაზ გამცემლიძემ** ისაუბრა იმ განხორციელებულ სამუშაოებზე, რაც დიდველისა და მიტარის ტრასებზე ჩატარდა. ყველა საკითხს გავდიოდით და ვალაგებდით სიპთან (ბაკურიანის განვთარების სააგენტო) ერთად. მისივე თქმით, ძირითადი სამუშაოები უკვე დამთავრებულია და თანდათანობით დაიწყება მძიმე ტექნიკის გამოყვანა, ისე რომ, საგზაო დეპარტამენტს ხელი არ შევუშალოთ სამუშაოებში. აშენდა დიდველსა და მიტრაბის არეალში წყლის, 200000 და 107000 მ3 მოცულობის, ორი ხელოვნური რეზერვუარი (ტბა), როლებიც აუცლებელია გათოვლიანების სისტემის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის. ორივე ტბა ერთმანეთთან არის დაკავშირებული, დიდველიდან წყლის მიწოდება მიტარბთან არის შესაძლებელი და პირიქით. ტბები არ გაიყინება, ვინაიდან მათში დამონტაჟებულია სპეციალური აგრეგატები. მსოფლიო ჩემპიონატის პროექტის ფარგლებში 6 ახალი საშეჯიბრო ტრასა აშენდა. აქტიურად მიმდინარეობს 29 კილომეტრიანი ხელოვნული გათოვლიანების მონტაჟი. რეზერვუარების წყლით ავსება საკურორტო სეზონის გახსნამდე მოხდება. მან აქვე დასძინა, რომ საინსპექციო ჯგუფმა ჩატარებული სამუშაოები დადებითად შეაფასა, ხოლო ბოლო შეფასება კი 2023 წლის 5 თებერვალს დაიდება.

აღნიშნული შეხვედრა კითხვა-პასუხისა და ინფორმაციის გაცვლის რეჟიმში მიმდინარეობდა.

ყურადღება გამახვილდა სატრანსპორტო მოძრაობაზე, მანქანების პარკინგზე, მათ უსაფრთხო მოძრაობაზე და საცობის მოსალოდნელ შექმნაზე, გზების გაწმენდაზე, დასუფთავებასა და ნარჩენების დროულად გატანაზე... მეტი მარილი და ნაკლები ქვიშა", რაც ხელს შეუწყობს ტრანსპორტის უკეთ მოძრაობას. მობილიზებული იქნება საპატრულო პოლიციის, სახანძრო და საგანგებო სიტუაციების ჯგუფები. შპს „რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის" ბაკურიანის კლინიკის ხელმძღვანელის **მაკა ვიბლიანის** თქმით დაიწყო საავადმყოფოს შენობების სახურავის შეკეთება და რენტგენის კაბინეტის მოწყობა. სეზონის გახსნიდანვე ადგილზე იქნება რეანიმობილის გუნდი და ტრამვატოლოგი.

„ბაკურიანის განვითარების სააგენტოს" ხელმძღვანელმა **ეკატერინე ორჯონიკიძემ** მადლიერება გამოხატა საკორდინაციო საბჭოს მიმართ, რომელიც კოორდინირებულად და შედეგიანად მუშაობს, ითვალისწინებენ მის წინადადებებს იმ ერთიან საქმეში, რაც ემსახურება ბაკურიანის განვითარებას. მან აღნიშნა, რომ: ჩემთვის პრიორიტეტია ბაკურიანსა და ბაკურიანელებზე ზრუნვა. საკურორტო სეზონი 15 დეკემბრიდან გაიხსნება. იმოძრავებს საზოგადოებრივი ტრანსპორტი (მწვანე ავტობუსები), თუ საჭიროება მოითხოვს მოძრაობა იქნება ცალმხრივი, რომლის გამოცდილებაც უკვე გვაქვს. საგზაო დეპარტამენტს ეთხოვა მოხდეს მიმთითებელი ნიშნების დაყენება, რომ სტუმრისთვის ადვილი იყოს ნებისმიერი პუნქტისა და ტრანსპორტის გაჩერების ადგილის მიგნება. გასული წელს ჩატარებული ჩემპიონატის დროს კარგად გავართვით თავი ტრანსპორტით მომსახურებასა და ნარჩენების გატანას. საკმაოდ დიდი გამოცდილება შევიძინეთ, რომელიც გათვალისწინებული იქნება წელსაც. დამსვენებელს, სტუმარს უნდა სუფთა, თეთრი თოვლი, ამიტომ სააგენტო მუშაობს ცხენების მეპატრონეებისათვის ბიოდეგრადირებული პარკების საკითხზეც. ეგრეთ წოდებულ ოცდახუთიანებზე განთავსდება თანამედროვე ჯიხურები. ცხენების, ციგების, ბურანებისა და თვითმავლებისათვის გამოიყოფა ცალ-ცალკე ადგილები. განათდება 25-იანები და კოხტას ასავლელი.

უამრავი ტურისტი, ჟურნალისტი გვეწვევა მსოფლიო ჩემპიონატის პერიოდში. ვიღებთ შეფასებებს მსოფლიო ჩემპიონატზე, აქ არ არის მარტო სპორტული შეჯიბრება, ყველა კუთხით გვჭირდება მზადყოფნა, ეს არის: მოძრაობა, წყალი, დენი, ბუნებრივი აირი, მედიცინა, სისუფთავე...ქვეყნის იმიჯისათვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ იყოს მაქსიმალურად მაღალი დონე. ვემზადებით 2023 წლისთვის, რაც იმას ნიშნავს, უკვე დაწყებული გვაქვს მზადება 2030 წლისთვის.

ბატონ ბესიკ ამირანაშვილის თქმით შესაბამისი უწყებებისგან მოვისმინეთ, რომ წელს ვხვდებით გარკვეულწილად მზად. გვქონდა საუბარი საპატრულო პოლიციასთან, აგრეთვე საგზაო დეპარტამენტთან, რომ მოხდეს როგორც თოვლის გატანა ასევე დროულად მარილის დაყრა. გაიზრდება საპარტულო პოლიციის რაოდენობა, მაქსიმალურად იქნება მობილიზებული, შესაბამისი ეკიპაჟები, რათა მოხდეს სწორი ადმინისტრირება.

ყველაფერთან ერთად განწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს და ქალბატონმა ეკატერინემ აქვე დაანონსა, რომ წელს ბაკურიანი შობას (7 იანვარი) გრანდიოზული შოუ კონცერტით შეხვდება, როგორც არასდროს, საახალწლოდ განათებული.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ გამართავენ მორიგ შეხვედრებს დაგეგმილი საქმიანობების მონიტორიგისა და შესაძლო ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

სოფიკო ხეთაგაშვილი

ბაკურიანის მომავალში შეიძლება საერთაშორისო ტურნირების რეგულარული მასპინძელი გახდეს

საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის დასკვნითი საინსპექციო ჯგუფი საქართველოში იმყოფება, რომელმაც ბაკურიანში 2023 წელს დაგეგმილი მსოფლიო ჩემპიონატის ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობა და შესრულებული სამუშაოები უნდა შეაფასოს.

ჯგუფის ხელმძღვანელი **მიშელ ვიონი** 15 ნოემბერს ვიცე-პრემიერს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს **ლევან დავითაშვილს** შეხვდა. შეხვედრაზე აღინიშნა შესრულებული სამუშაოების მაღალი ხარისხი, ასევე ბაკურიანის, როგორც ევროპული რანგის სამთო-სათხილამურო კურორტის მომავალი.

„საქართველოს მთავრობის მიერ ბაკურიანში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შედეგად, ბაკურიანი მომავალში შეიძლება საერთაშორისო ტურნირების რეგულარული მასპინძელი გახდეს. იმედი გვაქვს, რომ საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის ინსპექტირება წარმატებით დასრულდება. განხორციელებული სამუშაოების შედეგად, ჩვენ მივიღეთ ბაკურიანში ხელოვნური გათოვლიანების აბსოლუტურად ახალი სისტემები, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა ახალი საბაგირო გზებისა და ახალი ტრასების სახით, აგრეთვე ხელოვნური გათოვლიანების სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ხელოვნური რეზერვუარები - ეს სამუშაოები, ფაქტობრივად, დასრულებულია და ამჟამად რეზერვუარების წყლით ავსების პროცესი მიმდინარეობს. საბოლოოდ, ბაკურიანი იქნება ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტუნარიანი კურორტი არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში, არამედ საერთაშორისო მასშტაბით", - განაცხადა ვიცე-პრემიერმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

შეხვედრას ასევე დაესწრნენ მინისტრის მოადგილე **მარიამ ქვრივიშვილი**, „მთის ტრასების სააგენტოს" დირექტორი **ირაკლი ბურჭულაძე** და საქართველოს სათხილამურო ფედერაციის პრეზიდენტი **ზურაბ კოსტავა.**

- 2023 წელს კურორტი ბაკურიანი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელია, თავისუფალი სტილით სრიალში თხილამურითა და სნოუბორდით. დიდველისა და მიტარბის არეალში უმოკლეს ვადებში აშენდა წყლის ორი ხელოვნური რეზერვუარი (ტბა) ჯამური მოცულობით 307 000 მ3, რომელიც აუცილებელია გათოვლიანების სისტემის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის. ასევე აქტიურად მიმდინარეობს 29 კილომეტრიანი ხელოვნური გათოვლიანების სისტემის მონტაჟი. მსოფლიო ჩემპიონატის პროექტის ფარგლებში აშენდა ექვსი ახალი საშეჯიბრო ტრასა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ განხორციელებული პროექტები რჩება კურორტს და ათეული წლები მოემსახურება ბაკურიანში ვიზიტორების გაზრდილ ოდენობას, რაც ხელს შეუწყობს კურორტის ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო მასშტაბით.

ბაკურიანის ნარმაცებით ნარმოჩენისათვის

სოფელი, დაბა თუ ქალაქი სიგრძით-სიგანით კი არ იზომება, არამედ იმ ადამიანებით, რომლებიც იქ ცხოვრობენ, საქმიანობენ ამა თუ იმ კუთხით, ფიქრობენ მის ხვალინდელ დღეზე, მის იერსახეზე, ნესრიგზე, სისუფთავეზე... ეს ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური რუტინა უნდა იყოს, სადაც ვართ, ჯერ ჩვენ უნდა ვგრძნობდეთ თავს კომფორტულად, სხვამაც რომ იგრძნოს. ამის ვალდებულება თითოეულ მოსახლეს ნამდვილად უნდა გვქონდეს, მითუმეტეს მაშინ, როცა მსოფლიო დონის სპორტული ღონისძიებებისათვის ვემზადებით და უამრავი სტუმარი გვეყოლება. იმიჯი ქვეყნისა, ჩვენი ბაკურიანისა და ბაკურიანელებისა, როგორ ნარმოვაჩენთ და როგორ ნარმოვჩინდებით. მიზანი ერთია! ის ურთიერთხელშეწყობითა და კოორდინირებული შუამობით მიიღწევა.

ბაკურიანის კინოთეატრ „ბაკურიანში" თითქმის ყოველკვირეულ შეხვედრებს მართავს სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტო" სხვადასხვა მიმართულებით. ყოველი თემა, ყოველი შეხვედრა ბაკურიანის კეთილდღეობას, მოახლოებულ ზამთრის საკურორტო სეზონთან დაკავშირებულ საკითხების განხილვას ეხება. ასე იყო 24 ნოემბერსაც, ბიზნეს სექტორის (სასტუმროების, რესტორნების, მაღაზიების, აფთიაქების...) წარმომადგენლებთან, სადაც სააგენტოს თავმჯდომარემ **ეკა ორჯონიკიძემ** იმ მოსალოდნელი დაბრკოლებების შესახებ ისაუბრა, რომელთა გადაჭრა მხოლოდ ბიზნეს სექტორთან ურთიერთთანამშრომლობის მოქმედებითაა შესაძლებელი.

- ყველამ ჩვენი პასუხისმგებლობა უნდა ავიღოთ საკურორტო სეზონთან დაკავშირებით და მსოფლიო ჩემპიონატის პერიოდში დროულად მოვახდინოთ ნარჩენების გატანა, არ გადაივსოს ურნები, არ წარმოიშვას საცობები.

ურნები მრავლად გვაქვს, მაგრამ ვერ გადავაქცევთ კურორტს ურნების ქალაქად; ამავე დროს ქალბატონმა ეკამ თხოვნით მიმართა კერძო ბიზნესის წარმომადგენლებს გაანათონ, დაასუფთაონ, წესრიგში მოიყვანონ თავიანთი ობიექტების არეალი, რომ ესთეტიკურად გამოიყურებოდეს. საცობების პრევენციის მიზნით სასტუმროებმა არ დაუშვან არასაპარკინგე ადგილებში როგორც დამსვენებელთა მანქანების, ასევე იმ ავტობუსების განთავსება, რომლებსაც ჩამოჰყავთ ტურისტები. ეკა ორჯონიკიძემ თხოვნით მიმართა მსხვილი მაღაზიების ქსელების მენეჯერებს, რათა დისტრიბუტორების მანქანების შემოსვლა მოხდეს საღამოს საათებში, რაც კიდევ ერთი დადებითი ფაქტორი იქნება საცობების შემცირებისა.

ბაკურიანის სააგენტოს დასუფთავების სამსახურმა შარშან ზამთარის სეზონზე კარგად გაართვა თავი ნარჩენების ოპერატიულად გატანას. ეს სწორედ კერძო ბიზნესთან ურთიერთ გვერდით დგომით ხდებოდა.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ნარჩენების გატანის კუთხით წარმომადგენლები ერთად იმუშავებენ სპეციალური გრაფიკით, ისევე როგორც წინა პერიოდში, რაც ხელს შეუწყობს იმას, რომ არ მოხდება სანაგვე ყუთების გადავსება.

ითქვა, რომ თოვლის მოსვლისთანავე იწყება ზარები კერძო ტერიტორიების გაწმენდის თაობაზე. ამიტომ ამ კუთხით სსიპი თავაზობს მომხმარებელს აპრობირებული მეთოდებით სერვისის ხელშეკრულებების გაფორმებასა და მომსახურებას.

აღინიშნა, რომ სააგენტო მზადყოფნაშია ზამთრის სეზონისათვის, ე.წ. შიდა ტერიტორიებზე დაგეგმილია დროებითი ავტოსადგომების მოწყობა, გამოიყოფა ერთიანი სივრცე, კვადროციკლებისთვის, ბურანებისთვის, ცხენებისთვის. იკრძალება ტრანსპორტის გადაადგილება ე.წ. 25-იანების ტერიტორიაზე, შეყვანილია წყალი, წესრიგდება საზოგადოებრივი საპირფარეშოები, რეგულარულად მოხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. სულ მალე ბაკურიანის გზებზე საზოგადოებრივი ტრანსპორტი (მწვანე ავტობუსები) იმოძრავებს.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა.

ყოველი შეხვედრა ურთიერთპატივისცემით იწყება და მთავრდება, ეს კი ბევრად იმ შედეგის მომტანია, რომლის გამოც შეიკრიბნენ დარბაზში, რომელთაც ერთი მიზანი აქვთ, რაც შეიძლება მომზადებული შეხვდეს ზამთრის სეზონს ბაკურიანი და ამავდროულად ყოველი კუთხით წარმატებით წარმოაჩინონ მსოფლიო ჩემპიონატის პერიოდი.

სოფიკო ხეთაგაშვილი

ოლიმპიადიდან ჩემპიონად დაგვიბრუნდა

ევროპის გოგონათა ოლიმპიადა ინფორმატიკაში, თურქეთში, ქალაქ ანტალიაში გაიმართა, რომელშიც საქართველოს მოსწავლე გოგონათა ნაკრებიც იღებდა მონაწილეობას. ოლიმპიადაში სულ 45-მდე ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ამ ფართომასშტაბიან მაღალრეიტინგულ შეჯიბრში 2022 წელს, საქართველოს ინფორმატიკის ნაკრებმა გუნდებმა მსოფლიო, ევროპის ახალგაზრდულ და ევროპის გოგონათა ოლიმპიადებზე სულ 1 ოქროს, 2 ვერცხლის, 5 ბრინჯაოს მედალი და 3 საპატიო დიპლომი დაიმსახურეს.

ქეთა ციმაკურიძე, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა, ფესვები მშობლიური ბორჯომიდან აქვს. დედამ **ნინო ხაჩიძემ** ბორჯომის №6 საჯარო სკოლა დაამთავრა და ექიმია. ქეთა ცნობილი ბორჯომელი **ოთარ ხაჩიძის** შვილიშვილია. ქეთამ სკოლის პარალელურად 2014 წელს სწავლა გააგრძელა ვ. კომაროვის სახელობის №199 საჯარო სკოლის საშაბათო სკოლაში, ასევე, 2015 წლიდან სწავლობს კომპიუტერულ სკოლა „მზიურში“.

2014-2016 წლებში არის ოლიმპიადა **„ევერესტის“** გამარჯვებული (მე-2 ადგილის მფლობელი 2014წ.) და მრავალგზის ფინალისტი;

ახლახან ქეთამ მორიგ წარმატებას მიაღწია, როდესაც ქულათა მაქსიმუმი (450-დან 450) აიღო ხორვატიის ონლაინ-შეჯიბრზე ინფორმატიკაში და ათ სხვა მონაწილესთან გაიყო პირველი ადგილი. შეჯიბრში ასაკის შეუზღუდავად 350-ზე მეტი პროგრამისტი მონაწილეობდა.

– ქართული ინტელექტის კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება! უკვე მესამედ ევროპის ჩემპიონობა! ამჯერად გოგონათა შორის. ***ქეთა ციმაკურიძე*** *ევროპის ჩემპიონია! აქ სულ სხვა ემოციებია, უძილო ღამეები, მძიმე შრომა, საოცარი განცდები და ნერვიულობა ტურების მიმდინარეობის დროს, შეჯიბრის მსვლელობის დაძაბული დინამიკა, ყოველ წამს სიტუაციის ცვლილება, უკან დახევა, ისევ წინ წასვლა, კვლავ პაუზა, კვლავ ნახტომი და ასე გრძელდება 5-5 საათი ორი დღის განმავლობაში ბოლო წამამდე, რადგან ყოველ წამს შეიძლება სიტუაცია შეიცვალოს. საოცარი ემოციაა და საოცარი განცდა, განსაკუთრებით როცა ყველაფერი კარგად მთავრდება. ბოლოს არის სიხარულიც და ცრემლებიც, მომავალი გამარჯვებებისთვის დამუხტვა და მერე ყველაფერი თავიდან იწყება. უმძაფრესი კონკურენცია, ურთულესი ამოცანები და კვლავ: ყოჩაღ ბავშვებო. რაოდენ საამაყოა ეს ყველაფერი, რაოდენ გიხარია, როცა ყველა მოკრძალებით გილოცავს (ადგილზეც და შორიდანაც, ჩვენი კოლეგები სხვა ქვეყნებიდან) და გრძნობ, რა პატივისცემით გიცქერიან. განათლებული ხალხი აფასებს განათლებას, აქ ყველამ კარგად იცის ამ გამარჯვების ფასი! სწორედ ამ წუთებისათვის და ამ განცდისათვის ვართ მზად წლების განმავლობაში თავდაუზოგავად ვიშრომოთ. ეს ხომ მარტო ჩვენი დაფასება არაა, ეს ჩვენი ქვეყნის და მისი ინტელექტუალური პოტენციალის აღიარება და დაფასებაა! მოკლედ, ემოციამ მძლია და ბევრი დავწერე,* - წერს **გოჩა მანდარია** და გამარჯვებულებს ეხმიანება.

ჩვენი რესპონდენტი 2020 წელს გახდა საქართველოს ინფორმატიკის ახალგაზრდული ნაკრების წევრი, მონაწილეობა მიიღო ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიადაში (European Junior Olympiad in Informatics (EJOI) და მოიპოვა ბრინჯაოს მედალი.

2020-21 წლებში საქართველოს სახელით მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ოლიმპიადაში: International Autumn Tournament in Informatics 2020, Junior division - ბრინჯაოს მედალი, infO(1) Cup 2021 - vercxlis medali. Asia-Pacific Informatics Olympiad 2021 - ბრინჯაოს მედალი.

2022 წელს მოხვდა კომაროვის სკოლის ჟაუტიკოვის ინფორმატიკის ნაკრების პირველ გუნდში. სკოლის სახელით მონაწილეობა მიიღო ჟაუტიკოვის XVIII ოლიმპიადაში (International Zhautykov Olympiad in Informatics(IZhO) 2022) და მოიპოვა ვერცხლის მედალი.

ეროვნული და ნაკრების შესარჩევი ოლიმპიადების შედეგად გახდა საქართველოს ინფორმატიკის ძირითადი და გოგონათა ნაკრებების ლიდერი.

ქეთამ 2022 წლის აგვისტოში საქართველოს სახელით მონაწილეობა მიიღო ინდონეზიაში ჩატარებულ ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაში და მოიპოვა ვერცხლის მედალი. (International Olympiad in Informatics (IOI) 2022). და **გახდა პირველი ქართველი ვერცხლის მფლობელი გოგო ინფორმატიკის მსოფლიო ოლიმპიადაზე.**

Scholarship მოიპოვა დასწრება harbour.space უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული Leagues of Code პროგრამირების სკოლის გაკვეთილებზე. 2021-2022 წლის განმავლობაში გაკვეთილებს ესწრებოდა დისტანციურად ესპანეთის ნაკრების წევრებთან ერთად.

იყო ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების ფინალისტი ინფორმატიკასა და ინგლისურში.

ასე, ამ წარმატებათა გვირგვინად იქცა თურქეთში ჩატარებული გოგონათა ევროპის მე-2 ინფორმატიკის ოლიმპიადაზე 45 ქვეყნის 160 მონაწილეს შორის პირველი ადგილი, ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონი და ოქროს მედლის მოპოვება.

ემოციებით დატვირთული წლები გამარჯვებულ ჩემპიონ ქეთას წინსვლას და მრავალ გზის წარმატებას ჰპირდება. ვუსურვებთ მას, ყველა ჩანაფიქრისა და სურვილების ასრულებას.

მოამზადა იზა იანვარაშვილმა

დაგვიცავით მაწანწალა ძაღლებისაგან!

მიუსაფარი ძაღლების პრობლემა რომ უკვე წლებია არსებობს ჩვენს ქვეყანაში და კერძოდ, ბორჯომის მუნიციპალიტეტშიც, დიდი ხანია ამაზე აღარავინ დავობს. ქუჩაში უპატრონოდ მოსიარულე ცხოველებისათვის თავშესაფარის აშენების საკითხიც დიდი ხანია მსჯელობის საგანია, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი თითქოს თავს იმით იმშვიდებს, რომ ქუჩაში მოსიარულე ძაღლებს ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინას უკეთებენ. კულუარებში საუბრობენ იმასაც, რომ ცხოველებს კი გაუკეთეს ვაქცინა, თუმცა ვადა გასული. მათ არაფერი დაემართათ, თუმცა რა აზრი აქვს, თუკი ადამიანს უკბენს, ანალოგიურად მოუწევს ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთება. ამ ბოლო პერიოდში უკვე შუადღისას ბევრი ადამიანი შენიშნავდა ჯგროდ მოსიარულე ძაღლებს, რომლებიც საშინელი ყეფითა და ხმაურით აყრუებენ №1 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიას, სკოლის ეზოში მდგარ ნაგვის ურნებში იქექებიანი, იქნებ და რაიმე საკვები აღმოაჩინონ და თუკი ერთ რომელიმეს გაუმართლა და მცირედი რამ იპოვა საჭმელად, დაახლოებით 7-8 ძაღლი ერთი მცირედი საკვების ნაგლეჯზე იწყებს ჩხუბს. გაშველება რომ გინდოდეს, შიშით ვერც მიეკარები. აქეთ გეცემიან და დაგგლეჯენ. ამიტომაც, ამ ყველაფრის მაცქერალს გიწევს საკმაოდ შორი მანძილიდან უყურო, რომელი გაიმარჯვებს. საცხოვრებელ სახლებთან თუ სადარბაზოებთან მოსიარულე ძაღლებიც ხომ სხვა თემაა საერთოდ. აქ ძაღლებთან ერთად არსებობისთვის კატებიც იბრძვიან. უკვე საღამოს საათებში ჩაბნელებულ სადარბაზოში შესული ხან ერთი კიბის კუთხიდან, ხან მეორედან კნავილით დამფთხალ კატის ჩრდილს შეავლებთ თვალს, რომელსაც ზედა სართულიდან ქუჩის ძაღლი მისდევს, რომელიც სიცივისაგან შეწუხებული ალბათ, რომელიმე მაცხოვრებლის შესასვლელ კართან ფეხსაწმენდზე მოკალათებული დახვდა კატას. კნავილს და ყეფასაც ვიღა ჩივის? პროდუქტის პარკით ხელში რომ მიდიხარ შენთვის და ამ დროს 10-12 ძაღლი რომ შემოგესევა მშიერი თვალებით მოცქირალი, სად გინდა გაასწრო?

აგერ ბატონებო, რამდენიმე დღის წინათ არდაგნის დასახლებაში ქალბატონი ძაღლისა და კატის გაშველებას ცდილობდა და კატამ დაკაწრა, შემდეგ კი აქეთ დასჭირდა მას ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთება. კოსტავას პარკის მიმდებარე ტერიტორიაზეც. **ციური გოგოლაძე** მიუსაფარმა ძაღლებმა დაკბინეს. გამვლელებმა დახმარება მალევე აღმოუჩინეს და სასწრაფო დახმარების მანქანაც გამოიძახეს. მასაც ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა დასჭირდა. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ბოლო პერიოდში ადგილობრივ კლინიკას ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციისთვის პაციენტები თითქმის ყოველდღიურად აკითხავენ.

არსებულ საკითხზე საშველი ჯერ არსაიდან არ ჩანს და კიდევ როდემდე მოუწევს მოსახლეობას საკუთარი ძალებით ქუჩაში მოსიარულე ცხოველების მოგერიება არავინ იცის.

P.S. ჩვენ, ჟურნალისტებს, რა თქმა უნდა, არ გვინდა, რომ აღნიშნულ საკითხზე დაზარელებულის ან დამკვირვებლის პოზიციიდან ვიმსჯელოთ და ვისაუბროთ. ამიტომაც, კომენტარისთვის არსებულ საკითხთან დაკავშირებით ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხვედველობისა და მონიტორინგის სამსახურის მთავარ სპეციალისტს, ბატონ **ზურაბ გელაშვილს** გავესაუბრეთ. როგორც მან აღნიშნა, მათი სამსახურის მხრიდან მოქალაქეთა მიერ შემოსული განცხადებების შემდეგ ხდება რეაგირება, რის შედეგადაც ოზურგეთიდან მოდის მუნიციპალიტეტში მანქანა, რომელსაც ოზურგეთშივე გადაყავს მიუსაფარი ძაღლები, სადაც მათ ადგილზე უტარდებათ სამედიცინო მომსახურება (ვაქცინაცია, კასტრაცია) და შემდგომ ცხოველებს რამდენიმე კვირაში ისევ ბორჯომში აბრუნებენ. არის შემთხვევები, როდესაც მოქალაქეს ადგილობრივი კლინიკიდან მოაქვს ფორმა ასი, სადაც კონკრეტული ძაღლის მხრიდან მოხდა ადამიანის დაკბენა. ამიტომაც აღნიშნული ფორმის საფუძველზე, კონკრეტულ ძაღლს, რომელიც აგრესიით გამოირჩევა, ერჩის მოქალაქეს და საფრთეხს უქმნის მის ჯანმრთელობას, ოზურგეთში წაყვანის შემდგომ მათ უკან აღარ აბრუნებენ. როგორც ბატონმა ზურაბმა გვითხრა, 2022 წლის დასაწყისიდან დღემდე სულ 200-მდე მიუსაფარი ძაღლი გადაიყვანეს ოზურგეთში სამედიცინო მომსახურებისთვის და მათგან დაახლოებით 30 ძაღლი ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო უკან დაუბრუნებიათ.

ნატო მელიქიძე

რედაქციის მინაწერი: როგორც მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა ოთარ არბოლიშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, სოფელ დვირის სიახლოვეს გამოიყო ფართობი, სადაც მომავალი წლიდან დაიწყება უპატრონო ძაღლების თავშესაფარის მშენებლობა. ამჟამად მიმდინარეობს სათანადო დოკუმენტაციის შედგენა. წინასწარი გაანგარიშებით, ძაღლების თავშესაფრის მშენებლობაზე 700 ათასი ლარი დაიხარჯება, მათი შენახვა, გამოკვება და მომსახურების თანხები დამატებით დაზუსტდება.

ისტორიის უცნობი ფურცლები

ჯვრის მონასტრის აღაპების „ზოთა მეჭურჭლეთუხუცესი“

ისტორიკოსი ნ. შოშიაშვილი თავის ნაშრომში **„თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი“** საგანგებოდ შეეხო ამ საკითხს. „თამარის ისტორიის აღნიშნული ტექსტი რომ გასამართავია ეს აშკარაა. უდავოა ერთი რამ. არ შეიძლება ერთდროულად მოხსენიებული ყოფილიყოს შალვა მანდატურთუხუცესი და ჭიაბერი, იმის გამო რომ ჭიაბერი თვით იყო მანდატურთუხუცესი 1184-85 წლიდან და მცირე ხნით (ჩვენი აზრით 1191 წელს) ამირსპასალარიც, თუ კი ბასიანის ომის დროს მანდატურთუხუცესად შალვა თორელი იყო, მაშინ ჭიაბერი გარდაცვლილად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ის ვაზირობიდან გადაყენებულს და დამცრობილ პირს არ გავს. წყაროებში ამასთან გადაყენებული და დამცრობილი პირი მეწინავეც აღარ იქნებოდა.

უპირველეს ყოვლისა უნდა გადაწყდეს შალვა თორელ-ახალციხელის მანდატურთუხუცესობის საკითხი.

როცა **ივ. ჯავახიშვილმა** თამარის ისტორიის აღნიშნულ ტექსტში შალვა ჩამატებულად მიიჩნია, მას ამისი სრული საფუძველი ჰქონდა, რადგან მისთვის ცნობილი არ იყო არც ერთი წყარო, რომელიც დაადასტურებდა შალვას მანდატურთუხუცესობას. სავსებით ბუნებრივია, იმიტომ, რომ ივ. ჯავახიშვილს შეუსაბამოდ ეჩვენა შალვას მანდატურთუხუცესობა და აღნიშნული ტექსტის ბუნდოვანება სწორედ შალვას ჩამატებით ახსნა. ჩვენი აზრით ტექსტიდან უნდა ამოვიღოთ ჭიაბერი. საქმე იმაშია, რომ ჭიაბერი გარდაცვლილი ყოფილა არა მარტო ბასიანის ომის დროს, არამედ უკვე 1201 წელს. ამას მოწმობს ჰარიჭის სომხური წარწერა,სადაც მანდატურთუხუცესად მოხსენიებულია ზაქარია მხარგრძელი.

ჭიაბერი რომ **„ისტორიანი და აზმანის“** აღნიშნულ ტექსტში უადგილოდაა ჩამატებული და ის არავითარი მეწინავე არ ყოფილა ბასიანის ბრძოლაში, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ თამარის ორივე ისტორიის ტექსტში, იქ სადაც აღწერილია უშუალოდ ბასიანის ბრძოლა, მეწინავეებად იგივე პირები იხსენებიან (**ზაქარია მხარგრძელი, შალვა და ივანე ახალციხელები), გარდა ჭიაბერისა.**)

ისტორიანი და აზმანი:

„...დაანყეუეს რაზმი, სადა-იგი წინამბრძოლად იყო ზაქარია მხარგრძელი და ახალციხელი შალვა და ივანე და სხუანი თორელნი.“

პროფესორმა **შოთა მესხიამ** არ გაიზიარა მოსაზრება ჭიაბერის 1201 წელს გარდაცვალებაზე და თავისი პოზიცია სომხური ეპიგრაფიული ძეგლების ანალიზით ჩამოაყალიბა.

პირველ რიგში ის შეეხო ჰარიჯის წარწერას, რომელიც მის გამომცემელთა მიერ 1201 წლით არის დათარიღებული და **ნ. შოშიაშვილის** მიერ დამოწმებულია ზაქარია მხარგრძელის 1201 წლიდან მანდატურთუხუცესობის დასამტკიცებლად. მისი აზრით მკვლევარები არ დააკვირდნენ ერთ გარემოებას, რომელიც შეუძლებელს ხდის ზაქარია მხარგრძელის 1201 წ. მანდატურთუხუცესის პოსტზე ყოფნას. ჰარიჭის წარწერაში ზაქარია მხარგრძელს მოხსენებული ყავს თავისი მემკვიდრე შვილი შაჰინ-შაჰი (შანშე), რომელიც სომეხი ისტორიკოსების (კირაკოსი, ვარდანი) ცნობებით 1207/8წ. ადრე არ შეიძლება დაბადებულიყო. ეს წარწერა გამორიცხავს აგრეთვე 1207წ.

შალვა თორელის ყოფნას მანდატურთუხუცესის თანამდებობაზე. მით უფრო, რომ 1208 წლისა თუ მასზე ადრინდელი და მომდევნო წლების სომხურ წარწერებში ზაქარია მხარგრძელი თითქმის ყველგან ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის წოდებით მოიხსენიება.

ისტორიკოსი ნ. შოშიაშვილი თავისი ზემოთ დასახელებულ ნაშრომში შალვა და ივანე თორელებს ამ გვარისგან ახალციხის მფლობელთა ცალკე შტოს წარმომადგენლებად წარმოაჩენს. თამარის ანონიმურ ისტორიაში შალვა ახალციხელი პირველად მოხსენიებულია შამქორის ომთან (1195 წ.) დაკავშირებით. ამ ომში მონაწილეობა მიუღია შალვას და ნადავლად წამოუღია ხალიფას დროშა, რომელიც თამარს წარუგზავნია გელათის მონასტერში, შეუწირავს ხახულის ღვთისმშობლისათვის.

თამარის მეფობის ბოლოს, ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის ცნობით შალვა თორელს აუღია კეჩროული. ამ ცნობაში მემატიანე ახასიათებს შალვას, როგორც შეუდარებელ მეომარს:

„აიღო კეჩროული შალვა თორელმა მისითა ხრმლითა და ომითა მისათხრობელითა. რომელ არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი“.

შალვა თორელი ვაზირად (მეჭურჭლეთუხუცესი, მანდატურთუხუცესი) ყოფნის საკითხში ვფიქრობ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განძანის წარწერებში მოხსენიებულ შალვას.

სოფელი განძანი მდებარეობს ისტორიული ჯავახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ფარავნის და საღამოს ტბებს შუა, მდინარე ფარვანის პირას. ამ სოფლის ორი ეკლესიის კედლებზე ამოკვეთილია 4 ასომთავრული დამწერლობით შესრულებული შემდეგი წარწერა:

I ეკლესია 1 „ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხოვრებათა მეჭურჭლეთუხუცესი შალვა ძითა, ძმითა, მათითა ცოცხალთა ვაშენეთ წმიდაი ესე საყდარი ჩუენ, ქებასა და ნიკოლას ძეთა“. 2. „ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხოვრებათა ძლიერო და უძლეველო ყოველთა მტერთგან მეჭურჭლეთუხუცესი შალვა, რომელმან ძალითა ღმრთისაითა და მკლავთა თავისთა შეაძრწუნვა ყოველი სოფელი სპარსეთისა“

II ეკლესია 3. „ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავეცე ცხოვრებათა მანდატურთუხუცესი შალვა, ძითა და ძმითა. მათგან ცოცხალთა ვაშენეთ მეორე წმიდაი ესე საყდარი ჩვენ, ნიკოლას ძეთა. შალვას მონასა მანგლაფას მეოხ ექმენ, ღმერთო ყოველთაო, საყდარი დედისა ღმრთისაი“. 4. „ღმრთივ გვირგვინოსანი მეფობაი გიორგისი, ლაშქარნი და სამეფო დაიფარენ, დედაო ყოველთა მხსნელისაო“.

როგორც ვხედავთ 1-3 წარწერებში მოხსენებულია შალვა მეჭურჭლეთუხუცესი და შალვა მანდატურთუხუცესი. ცხადია ორივე ეს შალვა ერთიდაიგივე პირია: ორივე შალვას ყავს ერთი ძე და ერთი ძმა.

წარწერების გამომცემელ **ვ. ცისკარიშვილს** მიაჩნია, რომ ეს შალვა ჯაყელია, ბექა I შვილი, XIV საუკუნის მოღვაწე, ხოლო მეფე გიორგი კი გიორგი V ბრწყინვალე... პროფესორმა **შ. მესხიამ** დეტალურად განიხილა თავის ზემოთაღნიშნულ ნაშრომში განიხილა ყველა არგუმენტი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ იზიარებს **ვ. ცისკარიშვილის** შეხედულებას ამ საკითხზე.

აკად. **ბერძენიშვილის** აზრით განძანის წარწერებში მოხსენებული შალვა ან ჯაყელი, ან თორელი, უფრო კი მკვლევარი უკანასკნელი თვალსაზრისისკენ იხრება, თუმცა საკითხს მაინც ღიად ტოვებს.

ისტორიკოსი **ნ. შოშიაშვილი** თვლის, რომ წარწერებში მოხსენიებული შალვა თორელია, ახალციხელი და მოჰყავს მთელი რიგი არგუმენტები ამის დასამტკიცებლად. იგი თვლის, რომ წარწერებში მოხსენიებული მეფე გიორგი არის თამარის ვაჟი ლაშა გიორგი. მას მიაჩნია, რომ დიდება უფრო თორელს შეეფერება, ვიდრე ჯაყელს.

1981 წელს ისტორიკოსი **გიორგი ოთხმეზურმა** გამოსცა წიგნი „XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო“. სადაც სხვადასხვა წყაროების შეჯერებით გაანალიზებულია XII-ს-ის დასასრულისა და XIII ს-ის დასაწყისის ქართულ ლაპიდარულ წარწერები. მკვლევარი განძას წარწერებსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ამ წარწერებში მოხსენიებული შალვა ახალციხელია და არა ჯაყელი. იგი გვაძლევს თამარის მეფობის პერიოდში მეჭურჭლეთუხუცესის ხელის მფლობელთა ასეთ სიას:

1. ყურთლუ არსლანი 1178-1185წ.წ. 2. კახაბერ ვარდანისძე 1185-1188წ.წ. 3. აბულასანი 1185-1188წ.წ. 4. შოთა რუსთაველი 1188-1202/03 წ.წ. 5. შალვა თორელ-ახალციხელი 1188-1202/03 წ.წ. 6. ოვსიყმა 1202/03 წ-დან არაუგვიანეს 1020წ.

ნ.შოშიაშვილი XII საუკუნის მიწურულს და XIII საუკუნის მეჭურჭლეთუხუცესთა ასეთი ქრონოლოგიურ რიგს მოჰყავს:

1 აბულასანი 1191 წლამდელი; 2 შალვა თორელ-ახალციხელი; მისი მეჭურჭლეთუხუცესობა არ გადასცილებია 1207 წელს (ამ წელს ის უკვე მანდატურთუხუცესად ჩანს); 3. ივანე-ყვარყვარე ჯაყელ-ციხისჯვრელი; მეჭურჭლეთუხუცესად იხსენიება პირველად 1220/21წ. ჩანს 1245 წლამდე. 4. მამურჩა (ჯაყელი) 1245-1250 წლებს შორის; 5 გამრეკელ თორელი 1245-1250 წლებს შორის; 6 კახა თორელი-1260 წლამდე; 7. სარგის ჯაყელ-ციხისჯვრელი - 1260 წლიდან.

როგორც ვხედავთ, იგი აღნიშნავს, რომ მეჭურჭლეთუხუცესთა აღნიშნულ ქრონოლოგიურ რიგში თავისუფალი ადგილი რჩება 1207-1220/21 წლებში.

ამდენად თუ შოთა რუსთაველი თამარის თანამედროვე იყო და მეჭურჭლეთუხუცესობა ჰქონდა, ის სწორედ 1207-1220-21 წლებს შორის უნდა ვიგულისხმოთ ამის ხელის მფლობელად.

თამაზ ჩიკვაიძე

დასასრული. დასაწ. იხ. გაზეთი „ბორჯომი“ №41, 2022წ.

ვულოცავთ!

ჩემთვის განსაკუთრებულსა და გამორჩეულ ადამიანს, ჩემი ოჯახის უახლეს და უერთგულეს მეგობარს, თბილსა და ყურადღებიან ადამიანს **მარინა ჯეირანაშვილს**, მთელი გულითა და დიდი სიყვარულით ვულოცავ დაბადების დღეს. ქალბატონს, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების არსით სამაგალითო და საყვარელია იმ თაობებისთვის, რომლებიც აღზარდა ბაკურიანის სკოლაში პედაგოგად მუშაობის დროს. ის, როგორც იტყვიან ცოცხალი, მოსიარულე ენციკლოპედიაა, რომლისგანაც დაინტერესებული ადამიანი დიდ სიბრძნესა და ცოდნას შეიძენს.

ჩემო უკეთილშობილესო და უსაპატიესო მარი, იხარე და იდღეგრძელე შენს შესანიშნავ მეუღლესთან – ვასოსთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ღვთის ნყალობას გისურვებ, მრავალჟამიერ!

კეთილი სურვილებით **დარეჯან ბარათელი**

ბორჯომში „ნარინჯისფერი კვირეული“ გაიხსნა

მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით, 25 ნოემბერს - ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეს, თექვსმეტდღიანი კამპანია ოფიციალურად დაიწყო. საზოგადოება მიესალმება ასეთ აქტიურობას, რადგან იშვიათია მარათონი, რომელმაც მთელი მუნიციპალიტეტის სკოლების ახალგაზრდები ჩართო და მოიცვა. ამიტომ ჩვენი დამსახურებული მადლიერება გენდერული საბჭოს წევრებს, ღონისძიების ორგანიზატორებს. თქვენ ვერ წარმოგიდგენიათ სხვადასხვა ღონისძიებებისთვის როგორ დაფაცურდნენ მოსწავლე-მასწავლებლები, რომ გამოეხატათ აღნიშნულ დღეებში თავიანთი მონაწილეობის მაღალი ინტერესი. ალბათ, იმიტომ, რომ აქტუალურია თანასწორობა, ოჯახში ძალადობა და რაც გეხება, ყოველთვის იწვევს მოტივაციას!

სწორედ ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა გაიმართა, რომელიც თემატურად ქალთა მიმართ ძალადობას ეხებოდა. ასევე, ფოიეში მოთავსებული იყო სტენდი წარწერით **„გაუგზავნე შეტყობინება მსოფლიოს!“** მოწვეულმა სტუმრებმა სტენდზე საკუთარი სურვილების შესახებ დაწერეს. პირობითად, ამ ღონისძიებათა ციკლს ნარინჯისფერი კვირეული დაერქვა და ის 10 დეკემბერს დასრულდება. ჩვენი გაზეთის მეშვეობით თანმიმდევრობით მოგაწოდებთ ჩატარებული აქტივობების შესახებ ინფორმაციებს.

ოფიციალურად გახსნის დღე კი მესხეთის თეატრის დასის თემატური სპექტაკლით დასრულდა. დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“, მართლაც რომ ეხმაურებოდა პირდაპირ იმ მტკივნეულ თემას - ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობასა და ნაადრევ, ნების საწინააღმდეგო ქორწინებას. ამდენი საუკუნის შემდეგაც რეალობა არ შეცვლილა და ირონიული სათაური „ირინეს ბედნიერება“ იმდენად მოჩვენებითი და ყალბია, რომ მაყურებელს სიბრალული და უმწეობა ეუფლება. კლდიაშვილი ყოველთვის კარგად გვიხატავდა გაკოტრებულ ადამინთა სახეს, ასევე ოსტატურად გვაჩვენებდა როგორ ცდილობენ თავის გადარჩენას საკუთარი ქალიშვილის სარფიანად გათხოვებით. გვრჩება უფლებააყრილი გოგო, რომლის მიმართ უდიერი მოპყრობა დღესაც გრძელდება. ვუყურებდით ოჯახურ დრამას, სადაც პროვინციიდან ჩვენ ქალაქში გადმოსახლდნენ პერსონაჟები: რამდენი აბესალომია საზოგადოებაში - მოძალადე, უზნეო და მატყუარა? რამდენი ფილიპე ბარბაქაძეა თქვენს მეზობლად, სამსახურში - კაცი, რომელსაც ვითომ და უნდა საკუთარი შვილის ბედნიერება, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ შეიცვალოს მისი მატერიალური კეთილდღეობა, ზვარაკად სწირავენ გოგონებს, უგულვებელყოფენ შვილის ახალგაზრდულ გატაცებას და ფსიქოლოგიურად ძალადობენ მასზე, ძალით ათხოვებენ აბესალომ სალამთაძეზე. ირინე კი როგორია? უმანკო, ებრძვის საკუთარ გრძნობებს, დამყოლი და ყველას დაკრულზე მოცეკვავე... როგორი ხდება ის ახალ ოჯახში: დამჯერე, მორჩილი, ცდილობს დაივიწყოს ძველი გრძნობები. უკეთურ აბესალომში კი ეჭვიანობა ბობოქრობს, ძალადობის რამდენიმე სცენა საკმარისია, მოზარდი მიხვდეს, თუ რა აუტანელია უსიყვარულოდ ცხოვრება... აბესალომი გრძნობს თავის დანაშაულს და იმასაც, რომ ირინე მასზე ძლიერია, რაც უფრო აცოფებს მას. ირინეს დამცირებამ ან დიდი პროტესტი უნდა გამოიწვიოს, ან ბედს შეგუება. პერსონაჟებში მხოლოდ პავლე როდამაშვილია განსხვავებული: ირინეზე შეყვარებული, თუმცა არაფერს აკეთებს მის მოსაპოვებლად, მხოლოდ ერთი უხეირო გამოჩენა, რომელიც უკვე გვიანია... არადა, სიყვარულს დაცვა, შველა და მოპოვება უნდა! თითქოს, რეჟისორმა დაგვანახა მთელი რიგი უპერსპექტივო, უმოტივაციო ახალგაზრდებისა, აღვირახსნილი ცხოვრების წესით, ადამიანებს შორის დაკარგული და წაშლილი ზნეობის განცდით. ბრბო რა განაჩენს გამოუტანს ირინეს? თითქოს ლეონიძის ,,მარიტაც“ გაგახსენდებოდათ... მოზარდებს უნდა ენახათ ეს სპეკტაკლი აუცილებლად! ნახეს კიდეც, თუმცა ჩვენ აშკარად დამატებითი ძალისხმევა უნდა ჩავდოთ იმაში, რომ ვასწავლოთ თეატრში ჯდომისა და მოსმენის კულტურაც. უკადრებელი ხმაური რომ ისმოდა, ეს გვიბიძგებს მათ სხვა სახის სწავლებებიც ჩავუტაროთ როგორც ოჯახში, ასევე სკოლაში. კიდევ ერთხელ მადლობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომ ასეთი შემეცნებითი აქტივობით დააგვირგვინა 25 ნოემბრის საღამო.

მონიკა ჭანტურია

თვითნასწავლი მხატვრის გამოფენა

ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში თვითნასწავლი მხატვრის, **მაია დევიძის** ნახატების გამოფენა გაიმართა. ნახატების შექმნის ინსპირაციის წყარო, ავსტრიელი მხატვარი **ფუნდერტ ვასერია,** რომლის ნახატებშიც საოცარი ფერთა გამაა. ქალბატონი მაია პროფესიით მეტალურგი გახლავთ, ამიტომაც მას მინერალებთან შეხება ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან ჰქონდა და ნახატების შექმნის იდეაც, სწორედ მინერალური ქვებისაგან დაებადა. მხატვრის ნახატები ფერადი აკვარელისა და მინერალური ქვების ტანდემია, რომელიც ტილოზეა შესრულებული. გამოფენაზე მხატვარმა სულ 32 ნახატი წარმოადგინა, რომლებიც ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს მიუძღვნა. თითოეული ნახატი ფინალში მყოფ თითოეულ გუნდს გამოსახავდა. ნახატები მხოლოდ მხატვრის თვალთახედვით არის შექმნილი. ზოგიერთი მათგანი ამა თუ იმ ქვეყნის ფერებს გამოსახავს, ზოგიერთი კი მხოლოდ მხატვრის წარმოდგენითაა შესრულებული. ხელოვანი დაახლოებით 40 წელია, რაც რუსეთში ცხოვრობს და საქართველომდე, მას ცოტა ხნით ადრე მოსკოვში ჰქონდა ნახატების წარდგენა. თუმცა, ის ბოლო პერიოდია, რაც მშობლიურ ბორჯომში ჩამოვიდა და მისთვის დიდი პატივია თავისივე ქალაქში გამოფენის მოწყობა. მხატვრობით პანდემიის პერიოდში დაინტერესდა და ამ ხნის მანძილზე სულ 80-მდე ნახატი შექმნა. მისი ნახატები სხვადასხვა ქვეყნების საელჩოებშია გადაგზავნილი, რომელთა შორისაცაა შვეიცარიის საელჩო, ჟენევა და დუალი.

ნატო მელიქიძე

ემიგრაციაში წასვლის მიზეზია უიმედობა და უპერსპექტივობა!

ქართველთა საზღვარგარეთ წამსვლელთა რიცხვი არ მცირდება, პირიქით, დღითიდღე იზრდება. თუ აქამდე დაბალშემოსავლიანი ადამიანები მიდიოდნენ საქართველოდან, ახლა მაღალშემოსავლიანი ადამიანებიც მიემგზავრებიან. არადა, საქართველოში თვალნათლივ შეინიშნება კადრების დეფიციტი, თუ სავაჭრო და სადისტრიბუციო კომპანიები შედარებით დაბალი კატეგორიის თანამშრომლების დენადობას უჩიოდნენ, ახლა უკვე საშუალო რგოლის შენარჩუნების პრობლემა დადგა დღის წესრიგში.

სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში დაბალი ანაზღარურება მიზეზად არ გამოდგება. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, კომპანიებს უჭირთ კადრებით დაკომპლექტება და როგორც წესი, ხელმეორედ აცხადებენ ვაკანსიებს.

დღეს საქართველოში კადრებს ყველა სექტორი ეძებს, თუმცა პირველ ადგილზეა გაყიდვების კატეგორია - (24+%). დიდი მოთხოვნაა საბანკო და სამედიცინო სფეროდან. თუ ადრე რეგისტრირდებოდა 100 სამუშაოს მაძიებელი, ახლა მათი რიცხვი 110-120-ია. არადა, ვაკანსიები სამუშაოს მაძიებლებზე ბევრად მეტია. ადრე ვაკანსიაზე ცხადდებოდა 150 ადამიანი, ახლა ეს ციფრი 10-20 არ აღემატება. კლება თვალსაჩინოა. ბევრგან ხელმეორედ აცხადებენ ვაკანსიებს.

დღეს საშუალო დონის თანამშრომელიც სანთლით საძებნია. საფინანსო და სავაჭრო დარგის კვალიფიციური მიმომხილველები აცხადებენ, რომ ქვეყნიდან მუშახელის გადინება ვერანაირად ვერ უკავშირდება სახელფასო პოლიტიკას. საზღვარგარეთ მიდიან ადამიანები, რომელთა გამომუშავება 2500-4000-5000 ლარია. ასეთ სიტუაციაში ადამიანებში როგორც ჩანს, უფრო მასშტაბური პრობლემები უნდა ვეძებოთ, მათ შორის ეს ადამიანები ვერ ხედავენ მომავალს, უიმედოდაა განწყობილნი და ეძებენ გამოსავალს.

გასაგებია, ადამიანზე, რომელსაც 500-1000 ლარიანი ხელფასი აქვს, იფიქროს საზღვარგარეთ წასვლაზე, მაგრამ როდესაც 2000-დან 5000 ლარამდე ხელფასიანი ანუ საშუალო რანგის თანამშრომელი ოჯახიანად მიდის საზღვარგარეთ, ეს უკვე დასაფიქრებელი ტენდენციაა და მეტად ცუდია ჩვენი ქვეყნისათვის. ასეთ ადამიანებში უკიდურესად დაბალია სამშობლოს სიყვარულის და პატრიოტიზმის გრძნობა. ამ სიტუაციაში ალბათ სახელმწიფოს პოლიტიკური გადაწყვეტილება აქვს მისაღები.

დასაქმების პრობემები ჩვენს მუნიციპალიტეტშიც შეინიშნება. მთელი რიგი ფირმები, განსაკუთრებით სავაჭრო და მომსახურების სფეროს ობიექტები მწვავედ განიცდიან მზარეულის, მიმტანის, დამლაგებლის კატეგორიის მუშახელს. ასევეა სამშენებლო ორგანიზაციებში, სადაც სანთლით საძებნია კვალიფიციური მშენებლის, შემდუღებლის, მომპირკეთებლის, მლესავის, დურგლის და სხვა კატეგორიის მუშახელი.

დღეს ლიკანში შენდება პროფსასწავლებლის შენობა, ეს შენობა გეგმით წლის ბოლომდე უნდა დამთავრდეს, სამწუხაროდ, ამ მშენებლობის ორ თვეში დამთავრება შეუძლებელი იქნება და ხელობის შესწავლის მსურველთა მიღება კიდევ გადაიწევს, არადა დღის წესრიგში დგას პროფსასწავლებლების დაჩქარებული წესით აშენება-ამოქმედება. თანამედროვე კვალიფიციური მუშა-სპეციალისტების აღზრდის გარეშე ქვეყნის წინსვლა შეუძლებელი იქნება.

ვალერიან ლომიძე

რა არ ხდება ამ წუთისოფელში

ძარცვა ამერიკულად!

აშშ-ში, ნიუ-იორკში ძარცვის დროს ქურდმა ბანკში მყოფ ხალხს დაუყვირა: არ გაინძრეთ! ფული სახელმწიფოსია და სიცოცხლე თქვენი. ამიტომ ყველა ჩუმად იწვა!

„ამას კრიტიკულ სიტუაციაში სწრაფი საზრიანობით დარწმუნება ქვია!“

ქურდებმა ქურდობა რომ დაასრულეს, ახალ უნივერსიტეტ დამთავრებულმა ახალგაზრდა ქურდმა, უხუცეს ქურდს, რომელსაც მხოლოდ დაწყებითი სკოლა ქონდა დამთავრებული, უთხრა: - დავთვალოთ, რა თანხა მოვიპარეთ!

მოხუცმა ქურდმა, რომელიც მათი წინამძღოლი იყო, უთხრა: - სულელი ხარ? ბევრი ფულია და დათვლას დიდი დრო სჭირდება, საღამოს ახალი ამბებიდან გავიგებთ, რამდენი ფული მოვიპარეთ!

„ამას გამოცდილება ჰქვია!“

მას შემდეგ რაც ქურდებმა ბანკი დატოვეს, ბანკის მენეჯერმა ფილიალის მენეჯერს უთხრა: - სასწრაფოდ პოლიციაში დარეკე, მაგრამ ფილიალის მენეჯერმა უთხრა: - მოიცადე, ჯერ 10 მილიონი ჩვენთვის გადავდოთ და ის 70 მილიონიც დავამატოთ, რომელიც გავფლანგეთ!

„ამას დინების მიმართულებით ცურვა და სიტუაციის შენს სასარგებლოდ მოქცევა ქვია!“

ბანკის მენეჯერმა თქვა: - კარგი იქნება, თუ ყოველთვიურად ძარცვა მოხდება!

„ამას ძალიან შორს შეტოპვა ქვია!“

მეორე დღეს საინფორმაციო გადაცემებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ბანკიდან 100 მილიონი დოლარი მოიპარეს!

ქურდები ისევ და ისევ ითვლიდნენ ფულს, მაგრამ ყოველ ჯერზე თანხა 20 მილიონი დოლარი იყო, ძალიან გაბრაზდნენ, რადგან, მათ სიცოცხლე 20 მილიონ დოლარად გაწირეს, ბანკის მენეჯერმა კი 80 მილიონი დოლარი რისკის და ხელის გაუნძრევლად იშოვა!

„ეს არის განსხვავება ნიღბიან ქურდსა და ჰალსტუხიან ქურდს შორის!

და ამის სახელი განათლებაა!

ბანკის მენეჯერი იღიმოდა, რადგან ბირჟაზე წაგებული ფული მთლიანად აანაზღაურა და პლიუს მილიონერი გახდა!

„ამას ჭკუა და რისკის გაწევა ქვია!“

ნამდვილი ქურდები როგორც წესი, მაღალი თანამდებობის პირები არიან, ამიტომ ის ვისაც ქურდებს ეძახიან, ყოველთვის ჯიბის ქურდებად დარჩებიან...

შევამჩნიეთ, გავასწორეთ!

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში (24 ნოემბერი, №48) პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ წერილში სათაურით „გულახდილი დიალოგი მუნიციპალიტეტის მერიაში“ ვრცელი ინფორმაციის ბოლოდან მესამე აბზაცი უნდა იკითხებოდეს: - „დასასრულს ოთარ არბოლიშვილმა შეხვედრის მონაწილეებს აცნობა, რომ მომავალ წელს ბიუჯეტში დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების მიზნით ითვალისწინებენ ახლადდაბადებულ (და არა როგორც წერილშია ახალდაბელ) ბავშვებზე ჯილდოდ 1000 ლარის გაცემას“.

მკითხველებს ბოდიშს ვუხდით უნებლიე კორექტურული შეცდომისათვის.

ახალი ბორჯომში

ჩარხისწყალზე თორის ქ.№6 ბინაში (კორპუსის ქვეშ) გაიხსნა ბიონახევარფაბრიკატების საამქრო. აქვე განაგრძობს ფუნქციონირებას კობას რიტუალების დარგაზი. ვიღებთ შეკვეთებს.

საამქროში გვესაჭიროება თანამშრომლები.

დაგვიკავშირდით მობილურებზე:

599 259 242 – კობა; 598 767 925 – მანანა.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის N№24.04.59
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი. რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქუჩა. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ.თბილისი, თევდორე მღვდლის ქ.№57
e-mail: borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე